განმარტებითი ბარათი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში შემოვიდა სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ 2026 წლის 31 მარტის №90003564 წერილი ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების დადგენის მოთხოვნით.

იმის გათვალისწინებით, რომ „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჭიროა დაწყებული იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, 2026 წლის 23 აპრილის საჯარო სხდომაზე კომისიამ განიხილა საკითხი 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიის 2026 წლის 23 აპრილის №21/23 გადაწყვეტილების თანახმად, დადგენილების პროექტის შესახებ მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2026 წლის 22 მაისი, ხოლო დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად - 2026 წლის 30 ივნისი.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

დადგენილების მიღება არ გამოიწვევს კომისიის ბიუჯეტის ხარჯვითი და საშემოსავლო ნაწილის ცვლილებებს.

დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.